

სვლა გარეგანიდან შინაგანისკენ, როგორც სუბიექტურობის  
რეპრეზენტაცია ავრელიუს ავგუსტინეს „აღსარებანის“  
მიხედვით

მარიამ ჯგუშია

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია,  
ხელოვნების ისტორია და რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ჯავახიშვილი , პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ჯგუშია. 24.06.2021.

## **მადლობა**

განსაკუთრებული მადლობა და პატივისცემა ჩემს ძვირფას პროფესორს, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს - პროფესორ მანანა ჯავახიშვილს, მეგობრობის, გაზიარებული ცოდნისა და დათმობილი დროისათვის, რომ არა ის სამადლობელი სიტყვის დაწერა არ დამჭირდებოდა.

## აბსტრაქტი

ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანი“ მრავალი მკვლევრის აზრით ადამიანში საკუთარი თვითობის პოვნისა და შემეცნების ორიგინალური ხედვაა.

ღვთაებრივი სულის დაბადება ადამიანის სხეულში, მისი მოვლინება მუდმივი აწმყოს სივრციდან სასრული დროის სივრცეში, რათა რაციონალური შემეცნების გზით საკუთარ თავში მოკვდავად შობილმა ადამიანმა აღმოაჩინოს ღვთაებრივი, უკვდავი საწყისი.

ადამიანის „სული“ ავგუსტინესთან თანამედროვე კონტექსტუალური გაგებით სუბიექტის სახით გვხვდება. სუბიექტი, როგორც თვითობა, და მე.

ნეტარი ავგუსტინეს მკვლევრების აზრით როგორებიც არიან : თომას ეკენბერგი, ჯარი კეკუა, იოჰან ტაივანენი და სხვანი, სუბიექტურობის პრინციპს ავგუსტინესთან იკვლევენ როგორც სულის თვითშემეცნებას.

სუბიექტურობის პრინციპი ავგუსტინეს „აღსარებანში“ და მის სხვა ნაშრომებში, სულის, იგივე მე-ს და თვითობის გაგებას გულისხმობს, ისევე, როგორც, სხვაგან შუასაუკუნეებისა და ანტიკური ფილოსოფიის ცნებათა გაგებაში გვხვდება.

გზა გარეგანი კაციდან, შინაგანი კაცისკენ, მრავალი მკვლევარის აზრით, ავგუსტინეს „აღსარებანის“ ერთ-ერთი მთავარი შინაარსია, რასაც ავტორი ორიგინალური გზით აყალიბებს პლატონის, პლოტინის, მარკუს ავრელიუსის, სენეკასა და ციცერონის, პავლე მოციქულისა თუ ამბროსი მედიოლანელის ფილოსოფიური ნაშრომებისა და სწავლებების კვალდაკვალ.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავ როგორ სახეს იძენს თანამედროვე ცნება „სუბიექტი“ ავგუსტინეს „აღსარებანის“ მიხედვით და როგორ ამზადებს გზას ავტორი ხორციელი თვითშემეცნებიდან სულიერ ამაღლებამდე; როგორ იტაცებს მკითხველის გონებას გარეგანი „კაცის“ (შეიძლება გამოვიყენოთ შინაგანობა, გარეგანობა) ხორციელი ვნებანი და როგორ

იზრდება მკითხველისთვის ადამიანის სული ყრმობიდან მის სრულ გარდაქმნამდე.

ძირითადი საძიებო სიტყვები : „აღსარებანი“, ღვთაებრივი სული“, „სუბიექტურობა, “ „თვითშემეცნება“, „თვითობა“.

## **Abstract**

The „Confessions“ of Saint Augustine are considered by many scholars to be the original vision of self-discovery and self-cognition in man. The birth of the divine spirit in the human body, its manifestation from the space of the constant present to the space of finite time, so that through rational cognition a mortal born human can discover in himself a divine, immortal origin. The human “soul” is found in Augustine as a subject in the modern contextual sense. The subject as self, and I. According to the scholars of Saint Augustine such as Thomas Eckenberg, Jari Kekua, Johan Taiwanen and others, the principle of subjectivity is studied in Augustine as the self-knowledge of the soul. The principle of subjectivity implies the understanding of the soul, the same self and selfhood, in Augustine’s “Confessions” and his other works, as it is found elsewhere in the understanding of the concepts of medieval and ancient philosophy. The path from the outer man to the inner one is considered by many scholars to be one of the main contents of Augustine’s “Confessions”, which the author formulates in an original way through the philosophical teachings of Plato, Plotinus, Marcus Aurelius, Seneca and Cicero, the Apostle Paul or Ambrose of Milan. In this paper, I discuss how the modern concept of “subject” takes shape according to Augustine’s “Confessions” and how the author prepares the way from carnal self-knowledge to spiritual ascension; How the reader’s mind is captivated by the carnal passions of the external “man” (we can use the inside, the outside) and how the

human soul grows for the reader from his youth to his complete transformation

**Key Words : “ Confession”, “Divine soul”, “Subjectivity”, “Selfhood”, “Selfawareness”**